გეომედი ლაიფი Geomedi Life

№10 (11) 2023 წელი

უნივერსიტეტ გეომედის ყოველკვარტალური გაზეთი





2023 წლის 9 ივნისს, უნივერსიტეტ გეომედში ჩატარდა სტუდენტთა თეორიულ-პრაქტიკული კონფერენცია. მოხსენებები წარმოადგინეს, როგორც უნივერსიტეტ გეომედის სტუდენტებმა, ასევე ი. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტისა და შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტის სტუდენტებმა. მრავალფეროვანი და საინტერესო თემების პრეზენტაციების შემდეგ გაიმართა დისკუსია. კომისიის გადაწყვეტილებით გამოვლინდა გამარჯვებულები:

I ადგილი - Vinod Meempat Nithya (მედიცინის ფაკულტეტი, III კურსი. ხელმძღვანელი ელენე ასანიძე)

II ადგილი - ნინი აბესაძე (სტომატოლოგიის ფაკულტეტი, III კურსი. ხელმძღვანელი მარიამ კალანდაძე)

III ადგილი - ნინო ჯანელიძე (მედიცინის ფაკულტეტი, IV კურსი. ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი)

ჟიურის სიმპატია - ანი ხვიჩია (ფიზიკური მედიცინისა და რეაბილიტაციის ფაკულტეტი, III კურსი. ხელმძღვანელი პავლე კასრაძე)

კონფერენციაში მონაწილე ყველა სტუდენტს გადაეცა სერტიფიკატი, გამარჯვებულები კი დაჯილდოვდნენ სტიპენდიებით. კონფერენციაზე წარმოდგენილი ნაშრომები დაიბეჭდება სტუდენტების ნაშრომთა კრებულში ,,სტუდენტთა თეორიულ-პრაქტიკული კონფერენციის მასალები“.

15 ივნისს, უნივერსიტეტ გეომედში ფიზიკური მედიცინისა და რეაბილიტაციის ფაკულტეტის სტუდენტებისათვის ჩატარდა ღია ლექციები შემდეგ თემებზე: ,,ინსულტის შემდგომი რეაბილიტაცია” /ლექტორი, პროფესორი პავლე კასრაძე/ და „რეაბილიტაციის თანამედროვე მიდგომები ტრავმების მკურნალობაში“ /ლექტორი, საუნივერსიტეტო სარეაბილიტაციო კლინიკის ექიმი რეაბილიტოლოგი - ჯარჯი ბუზარიაშვილი/. პროფესორმა პავლე კასრაძემ ისაუბრა ინსულტის შემდგომი სარეაბილიტაციო სერვისების ორგანიზების შესახებ, თუ როდის და როგორ უნდა განხორციელდეს სარეაბილიტაციო მკურნალობა. ასევე, წარმოადგინა გაიდლაინის ძირითადი მიმართულებები და რეკომენდაციები. ექიმ - რეაბილიტოლოგ ჯარჯი ბუზარიაშვილის მიერ კი განხილული იქნა ტრავმული დაზიანების მართვის თანამედროვე მიდგომები. ორივე ლექციის ბოლოს გაიმართა საინტერესო დისკუსია.

ღია ლექციები სტომატოლოგიის ფაკულტეტის მაღალი კურსის სტუდენტებისთვის



25 მაისს, უნივერსიტეტ გეომედის საუნივერსიტეტო სტომატოლოგიური კლინიკის ბაზაზე არსებულ საკონფერენციო დარბაზში, სტომატოლოგიის ფაკულტეტის მაღალი კურსის სტუდენტებისთვის ჩატარდა საჯარო ლექცია თემაზე: „თანამედროვე მიდგომები პირის ღრუს ლორწოვანი გარსის დაავადებების მკურნალობაში“. ლექცია ჩაატარა გეომედის ასოცირებულმა პროფესორმა, სტომატოლოგიის ფაკულტეტის პროგრამის ხელმძღვანელმა - ნინო ჯაფარიძემ. ლექციაზე განხილული იქნა პირის ღრუს ლორწოვანი გარსის დაავადებების მკურნალობაში აპრობირებული და დანერგილი უახლესი მეთოდები, მკურნალობის დაგეგმარების პრინციპები და მიდგომები. როგორც პროგრამული, ისე არაპროგრამული საინტერესო კლინიკური ქეისები.

უნივერსიტეტ გეომედის თერაპიული სტომატოლოგიის საფანტომო ლაბორატორიაში, 16 ივნისს, ნინო ჯაფარიძის მიერ ჩატარდა, ასევე, მორიგი ლექცია და “Hands on” კურსი თემაზე „ფრონტალური კბილების ესთეტიკური რესტავრაცია – ვინირები; თანამდროვე მიდგომები მხატვრულ რესტავრაციაში“. ლექციების ბოლოს გამოითქვა მოსაზრებები, გაიმართა საინტერესო დისკუსია-დებატები.

სასწავლო უნივერსიტეტ გეომედის ფიზიკური მედიცინისა და რეაბილიტაციის მე-3 კურსის სტუდენტმა გიორგი კეკელიამ უნივერსიტეტ გეომედისა და საქართველოს ეროვნული ოლიმპიური კომიტეტის ხელშეწყობით, მონაწილეობა მიიღო 2023 წლის 9-22 ივნისს, საბერძნეთის ქალაქ ოლიპმიაში ახალგაზრდა ოლიმპიელი ელჩების 63-ე საერთაშორისო სესიის მუშაობაში. სესიის მსვლელობისას იგი აქტიურად იყო ჩართული ყველა სოციალურ, კულტურულ და სპორტულ ღონისძიებაში. სესიის დასრულების შემდეგ საერთაშორისო ოლიმპიური აკადემიის პრეზიდეტმა ისიდოროს კუველოსმა გიორგი კეკელიას გადასცა სესიაში მონაწილეობის დიპლომი.

პროფესორ **დურმიშხან ჩიტაშვილს**
უნივერსიტეტი გეომედი ულოცავს 90 წლის იუბილეს

ბიოლოგიის მეცნიერებათა დოქტორს, პროფესორს, ეკოლოგიურ მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსს, სპორტის დამსახურებულ მუშაკს, ღირსების ორდენის კავალერს-დურმიშხან ჩიტაშვილს 90 წელი შეუსრულდა.

მთელი მისი ცხოვრების წესი დაკავშირებული იყო ახალგაზრდების აღზრდასთან, გვერდში დგომასთან, მათი ინტელექტუალობის, რწმენის და მომავალი ცხოვრების გაუმჯობესებასთან.

მე-20 საუკუნის სამოცდაათიან წლებში, საზღვარგარეთ და საბჭოთა კავშირშიც, ვარჯიშების დროს, თითქმის არ აქცევდნენ ყურადღებას სპორტსმენის ჯანმრთელობას, ფიზიკური მომზადებისა და ორგანიზმის მონაცემების ურთიერთთავსებადობას. შედეგად, ფიზიკური გადატვირთვის გამო, ძალიან ბევრი სპორტსმენი დაავადდა ან გარდაიცვალა. სწორედ ამიტომ გახდა ბატონი დურმიშხანისათვის კვლევის ძირითადი ინტერესი სპორტის ფიზიოლოგია - რათა გამოეკვლია და განესაზღვრა ჯანმრთელობისა და ორგანიზმის ფუნქციონირების თვალსაზრისით, რა სპეციფიკით და როგორი დატვირთვით შეიძლებოდა ვარჯიშები, რომ ორგანიზმის დაუზიანებლად მიეღწიათ სპორტსმენებს წარმატებები. ბევრმა სპორტსმენმა შეინარჩუნა ჯანმრთელობა დურმიშხან ჩიტაშვილის სამეცნიერო კვლევებისა და რეკომენდაციების შედეგად არა მარტო საქართველოში, არამედ ყველგან, სადაც მისი სამეცნიერო მიგნებები და რეკომენდაციები დანერგეს სპორტსმენთა მომზადებაში.

ახალგაზრდა თაობებმა უნდა იცოდეს ვინ გვზრდიდა, ვინ ემსახურებოდა საქართველოს და მსოფლიოს. დიახ, მსოფლიოს. მან თავისი სამეცნიერო შრომებით უდიდესი წვლილი შეიტანა სპორტის განვითარებაში, სპორტსმენებისა და ახალგაზრდების ფიზიკურ აღზრდაში, მათ წვრთნაში.

ვულოცავთ ბატონ დურმიშხანს 90 წლის იუბილეს და ვუსურვებთ ჯანმრთელობას და დღეგრძელობას.

3 მაისს, უნივერსიტეტ გეომედის საკონფერენციო დარბაზში, უნივერსიტეტის სტუდენტებისა და პროფესორ მასწავლებლებისათვის იტალიის სამეცნიერო კვლევების ეროვნული ცენტრის (CNR) პროფესორის - ჯოვანი როვიელოს მიერ ჩატარდა საჯარო ლექცია თემაზე: „Exploring natural compounds in food as anticancer treatments: curcumin encapsulation in delivery systems based on L-tryptophan amino acid.“ ლექცია მიმდინარეობდა ინგლისურ ენაზე. ლექცია წარიმართა კითხვა-პასუხის რეჟიმში. ვიზიტის ფარგლებში დაიგეგმა პროექტები საგანმანათლებლო და სამეცნიერო მიმართულებებით იტალიის კვლევის ეროვნულ საბჭოსა და გეომედის უნივერსიტეტს შორის.



2023 წლის 5 მაისს უნივერსიტეტ გეომედის საკონფერენციო დარბაზში ჩატარდა საჯარო ლექცია თემაზე: ,,ორგანიზაციული კომუნიკაცია და ადამიანური კაპიტალი.” ლექციას უძღვებოდა ჯანდაცვის ეკონომიკისა და მენეჯმენტის ფაკულტეტის დეკანი, პროფესორი - დიმიტრი კობახიძე. მან განიხილა ისეთი მნიშვნელოვანი საკითხები, როგორიცაა: კომუნიკაციის არსი და მის ძირითადი ელემენტები, ორგანიზაციული ფორმალური და არაფორმალური კომუნიკაციები, ადამიანური კაპიტალი. ბოლოს კი ისაუბრა სწორად წარმართული ადამიანური კაპიტალისა და გამართული კომუნიკაციების მნიშვნელობაზე კორპორატიული პროგრესის დაგეგმვასა და დასახული მიზნების მიღწევაში. ლექციას ესწრებოდნენ უნივერსიტეტის ადმინისტრაციის წარმომადგენლები.

უნივერსიტეტ გეომედის მედიცინის ერთსაფეხურიანი საგანმანათლებლო პროგრამის კურსდამთავრებულმა ლაკდავალა უზეფ სალიმბჰაიმ მადლიერების ნიშნად ბიბლიოთეკას საჩუქრად გადასცა ინგლისურენოვანი წიგნი.

,,რთულია რამდენიმე სიტყვით შევაჯამო ის საოცარი 6 წელი, რომელიც გეომედში გავატარე. როგორც ამ უნივერსიტეტის კურსდამთავრებული, ყოველთვის მადლობელი ვიქნები იმ ცოდნისა და გამოცდილებისთვის, რაც აქ მივიღე. თითოეული ადამიანი ძირფასია ჩემთვის, ვინც ჩვენს განათლებაში წვლილი შეიტანა. მომენატრება ეს ადგილი. უნივერსიტეტი გეომედი ყოველთვის დიდ ადგილს დაიკავებს ჩემს ცხოვრებაში. დიდი მადლობა თითოეულ თქვენგანს."

ლაკდავალა უზეფ სალიმბჰაი, მედიცინის ფაკულტეტის კურსდამთავრებული.

ქართული ხუროთმოძღვრების ძეგლების მონახულება

2023 წლის 17 ივნისს უნივერსიტეტ გეომედის თანამშრომელებმა მოინახულეს ქართული ხუროთმოძღვრების ძეგლები: სოფელ ყინწვისის სამონასტრო კომპლექსი, ურბნისის საკათედრო ტაძარი და ატენის ხეობაში, VII საუკუნის I ნახევრის ჯვარ-გუმბათოვანი ტაძარი - ატენის სიონი. ღონისძიებამ ამაღლებული განწყობითა და სავსე ემოციებით ჩაიარა.

ქ. თბილისი, მეფე სოლომონ II -ის ქუჩა #4. ტელ: 275-25-20 ვებგვერდი: www.geomedi.edu.ge ელ-ფოსტა: info@geomedi.edu.ge
პასუხისმგებელი პირები: ნათია ბუაძე, ნანა ცერცვაძე